საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
№ 374 1918 წ. კვირა ნოემბრის 3. № 374

ხალხის საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო
ფასი 50 კაპ.
რაიონს გარეშე 60 კაპ.

ოსმალეთმა დროებითი ზავი შეჰკრა.—ავსტრიის ჯარში დეზორგანიზაცია.—უნგრეთში რევოლუცია და ახალი მთავრობა ეროვნულ საბჭოს სახით.—ტფილისის მუშები ისევ განაგრძობენ გაფიცვას: განზრახულია მათი ლიკვიდაცია.—ხარკოვში შესდგა სრულიად რუსეთის შავრაზმელების კავშირი.

სიმწრისაგან გულდამწვარნი ცოლი ანა ზალიკოს ასული და დედა ნინო ქობულაშვილების, სიდედრი მარიამი და ცოლის ძმა გიორგი სირტყლაძენი აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს უეცრივ გარდაცვალებას

ანტონ ზურაბის ძე ქობულაშვილისას.

პანაშვიდი დღეს, შაბათს ნოემბრის 2-ს საღამოს 7 საათზე, გამოსვენება კვირას, ნოემბრის 3-ს დილის 10 საათზე მეძველი ქუჩიდან სახლი № 9 კალოუბნის ეკლესიაში და წირვის შემდეგ წაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2288

გულდამწვარნი დედა ნინო, ძმები რაჟდენ, გრიგოლ და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და დარო მირიანაშვილები, დაი ანა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიმამრი ნიკა და სიდედრი ანანა კარდენახლიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, გიორგობისთვის 3-ს, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ნიკოლოზ მალაქიას ძის მირიანაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. 2285

იოანე და ნიკოლოოზ ანდრიას ძენი, ნინო ბესარიონის ასული და დარია ვასილის ასული ყიფშიძენი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, ნოემბრის 3 ს, გარდაცვალების მეშვიდე დღეს გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ ძის

ანეტა ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება საეპარქიო გიმნაზიის ეკლესიაში. (ანდრიას ქუჩა № 42) დასაწყისი წირვისა 10 საათზე. შემდეგ პანაშვიდი გადახდილ იქნება საფლავზე (წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე) კვირასვე 1 საათზე. 2289

ბებია მარიამ, ბიძები გიგო, ვანო და სიკო დოლაბერიძეები, მამიდები დარო ბაბუნიძისა და ლიზა სულხანიშვილისა, პაპა და ბებია ზაქარია და მარიამ, ბიძა გიორგი ბერაშვილები, დეიდები ოლა ბერაშვილი, დარო სიდამონიძისა და იულიტა დავითნიძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 31-ს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი მეექვსე გიმნაზიის მოწაფე

ქეთევან (ქეთუშა) ანტონის ასული დოლაბერიძე

დაკრძალვა დღეს, ნოებრის 3-ს. მიცვალებულს ბინიდან გამოასვენებენ დილის 10 საათზე ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2284

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: გიორგი ლევანის ძე და სიდონია ზაქარიას ასული, მეუღლე ნინო გრიგოლის ასული და და ოლღა გიორგის ასული აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთათვის ერთა და საყვარელი შვილი, მეორესთვის ერთგული მეუღლე, მესამეთათვის ძვირფასი ძმა

მიშა გიორგის ძე ლომიძე

გამოსვენება თავის ბინიდან დღეს, ნოემბრის 3-ს დილის 10 საათზე (ავჭალის შესახვევი № 10) მიასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დასაფლავება მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2286

ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილები: ბარბარე გრიგოლის ასული ტატიშვილისა, ეკატერინე გრიგოლის ასული ბანეთიშვილისა, ელენე გრიგოლის ასული და ალექსი გრიგოლის ძე ლომიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ბიძაშვილი

მიშა გიორგის ძე ლომიძე

გამოსვენება თავის ბინიდან დღეს, ნოემბრის 3-ს, დილის 10 საათზე (ავჭალის შესახვევი № 10). მიასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2286

გიორგი ბეჟანის ძე და პელაგია კონსტანტინეს ასული ტატიშვილები შვილებით: საშა, ბეჟან და მალიკოთი და რძალი მარიამი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ნოემბრის 5 ს ქ- გორში, საკათედრო ტაძარში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი შვილის, ძმის და მაზლის ვერაგულად მოკლულის

შაქროს

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 11 ს პანაშვიდი 12 ს. 2297

ბარბარე სპირიდონის ასული და მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკები შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ოქტომბრის 31-ს საყვარლის ასულის წმ. ნინოს გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფის

ნინოსას

პანაშვიდი კვირას 6 საათზე, ნაშუადღევს გამოსვენება ორშაბათს, ნოემბრის 4-ს კალოუბნის ეკლესიაში 10 საათზე, დილით სახლიდან, ალექსანდრეს ქუჩა, № 15, დაკრძალვა ამავე ეკლესიის გალავანში. 2299

მეორე ქართული კლუბი

(მიხეილის პროსპექტი 129)

შაბათს, ნოემბრის 2 და კვირას ნოემბრის 3-ს

გაიმართება **ლოტო** გაიმართება

საქველმოქმედო მიზნით მუსიკა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1394

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

სახ. სახლ. [illegible] ქართ. წარმ. მმართ. წრე.

ორშაბათს, ნოემბრის 4-ს, 1918 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

1.

მაღაროს უფროსი მუშა

დრამა 1 მოქ. გუმბილონისა თარგ. ნ. გოცირიძისა.

2.

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობენ: ქ-ნი ქ. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ელ. ჩერქეზიშვილი, ჯაურელი; ბ.ბ. ნ. გოცირიძე, ს. რომანიშვილი, ფირიაშვილი, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ნინოშვილი, სალაყაია, ხარუაშვილი, ა. თავდგირიძე, გ. ჯაბაური, ნ. ჰანკვატაძე, კ. ხახანაშვილი.

რეჟისორი *** რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

ადგილების ფასი 3 მ. 50 კ.—დე; დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

249 ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

კვირას, ნოემბრის 3-ს 1918 წ. დემოკრატიულ კლუბთან არსებულ ქარ. წარ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული ცნობილი პიესა

ქრისტინე

დრამა 4 მოქმ. იროელისა.

ბილეთების ფასი სახალხოა. ბილეთები იყიდება ყოველდღე თეატრის კასაში საღამოს 5-დან 8 საათამდი. დასაწყისი საღამოს სრულ 8 ს.

რეჟისორი პ. ფრანგიშვილი. ქარ. წარ. მმართ. წრის ადმინისტრაცია 2295

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

კვირას, 1918 წ ნოემბრის 3-ს გაიმართება

დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა.

პირველად ტფილისში კაბარე. მთელი დასი იღებს მონაწილეობას. ჰომეროსული სიცილი. დღეს კუპლეტები მ. ზინკოვსკისა. დღეს სამი ეშმაკი. დღეს ცნობილი სლასტუშინსკი, ვიქტორი და დიმი. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათ.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2298

გურიის დამხმარე კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ახლო მომავალში მოახდენს თავის მოქმედების ლიკვიდაციას და ის პირნი, რომელნიც დღეს მსახურებენ საქმიო რაზმში იანვრის პირველიდან სამსახურიდან განთავისუფლებულნი იქნებიან. ამასთან ერთად აცხადებს, რომ ვინც თავის სურვილით სამსახურს თავს გაანებებს მის ადგილას ახალს არ მიიღებენ.

2296 გურიის დამხმარე კომიტეტი.

განცხადება საექიმო-სასანიტარო განყოფილებასთან იხსნება პროფ. მიროკაგოროვის ხელმძღვანელობით განმეორებითი კურსები საეპიდემიო-სასანიტარო საქმის მცოდნე ექიმების კადრის მოსამზადებლად საქართველოსთვის. ამ კურსების მოსმენა შეუძლიან ყველა მსურველ ექიმს. დამთავრების შემდეგ ყველას მიეცემათ შესაფერი მოწმობები, რაც შეეხება იმ ექიმებს, რომელნიც ექვემდებარებიან საექიმო-სასანიტარო განყოფილებას და ამავე განყოფილების განკარგულებით იქნებიან გამოწვეულნი კურსების მოსასმენად, ჩაითვლებიან როგორც სამსახურის გამო კამანდიროვკაში მყოფნი. ლექციების კითხვა დაიწყება ნოემბრის 5-ს, საღამოს 6 საათიდან. ქსენიევის ქუჩა № 10. კურსები უფასოა და გასტანს ექვს კვირას.

პროგრამა კურსებისთვის.

1. ეპიდემიოლოგია—პროფ. მიროკაგოროვი, 2. ბაქტერიოლოგია—ექ. შეკვიჩი, 3. ჰიგიენა—ექ. ელიაშვილი, 4. ჰიგიენა—პროფ. მიროკაგოროვი, 5. კლინიკა (ტიფების) ექ. ვირსელაძე, 6. კლინიკა (მალარიის) ექ. გერკო, 7. კლინიკა (ხოლერის) ექ. მღებროვი.

ყველა ცნობებისთვის მსურველთ უნდა მიმართონ საექიმო-სასანიტარო განყოფილებისა. 2297

განცხადება ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ ნოემბრის 10 ს, დილის 12 საათზე დანიშნულია

წევრთა საერთო კრება

თანახმად § 29 წესდებისა ეს კრება ჩაითვლება კანონიერად რამდენიც უნდა წევრი დაესწროს.

განსახილველია: მიმდინარე კითხვები, მუდმივ მოსამართლეთ არჩევნები. 1396

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა საყურადღებოდ.

საინჟინერო-სატექნიკო სექციის უფროსი ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო ტელეგრაფის შესასწავლად საჭიროები არიან ახალგაზრდა ჯარის კაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ეძლევათ მიმართონ საინჟინერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება ტფილისში სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

1381 სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

განცხადება

ფოთის ქალაქის გამგეობა იწვევს მსურველთ, ვისაც სურს ფოთის ქალაქის ტყეში, ხუთასი საჟენი, სამი არშინიანი, შეშის დამზადება და ქ. ფოთში ჩამოტანა, ნაწილ-ნაწილად, არა უგვიანეს 1919 წლის პირველი თებერვალისა, შეშის დამზადება გაიცემა ნაწილ-ნაწილადაც. შეშა იქნება მაგარი და რბილი ჯიშისა. მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება, ამა წლის 15 ნოემბრამდი, იმაზე თუ რამდენი შეშის მოჭრა-ჩამოტანას კისრულობს, რა ფასად და რა ვადით. განცხადებასთან უნდა წარმოდგენილ იქნას პირობის უზრუნველსაყოფად, საწინდარი, ნაღდ ფულად. 10% იმ თანხისა, რასაც ადგენს შეშის მოჭრა-მოტანის ფასი. დაწვრილებითი პირობების განხილვა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე.

1393 ფოთის ქალაქის გამგეობა.

ტფილისი, ნოემბრის 3.

საერთაშორისო მდგომარეობა.

ოთხის წლის განმავლობაში თოფზარბაზნის ხმაურობით გაყრუებული კაცობრიობა ფხიზლდება. ის მოშხამული ატმოსფერა, რომელიც ყველა ქვეყნის შოვინისტ კაცი-ჭამიებმა შექმნეს ყველგან—ოდნავ გაიფანტა და თითქმის ადამიანურ ენით ლაპარაკი შესაძლებელი გახდა. ეხლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიანობა გვიახლოვდება. ომის პირველ ხანებში მებრძოლ სახელმწიფოთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა და ბოლოს თითქმის მთელი ევროპა ჩაება ბრძოლაში, ეხლა ხუხულა ინგრევა, ფრონტი ირღვევა და ყოველ დღე აკლდება რაზმებს რომელიმე სახელმწიფო, რომელსაც ვეღარ აუტანია ოთხ წელ ნახევარის სისხლის ღვრა.

პირველად რაზმს გამოაკლდა რუსეთი და მისი ადგილი ცარიელი დარჩა. სულ ბოლო ხანებში მოესპო საშუალება ბრძოლისა ბულგარეთს. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ სახელმწიფოებისას, რომელნიც ამის პროცესში დაიღუპნენ და დაპყრობილ იქმნენ: სერბია, შვარცვალდია, ბელგია და სხვ. ეხლა ცნობაა, რომ ავსტრო-ჰუნგრეთმა და იტალიამ დროებითი ზავი ჩამოაგდეს. იტალიას მხოლოდ ერთი ფრონტი ჰქონდა ფაქტიურად. ავსტრიასთან ზავის შემდეგ იგი ომის ცეცხლიდან გამოდის და საბრძოლველი არავისთან აქვს. არის ცნობები აგრეთვე, რომ ოსმალეთსაც ჩამოუგდია ზავი ინგლისთან. ამნაირად მებრძოლ სახელმწიფოებად რჩებიან ფაქტიურად ერთის მხრით ამერიკა, ინგლისი და საფრანგეთი—ხოლო მეორე მხარეს სდგას ერთად-ერთი გერმანია. ეს უკანასკნელი გამბედაობით ებრძვის მოწინააღმდეგეებს და ჯერ კიდევ ძლიერია. მაგრამ იგი მარტოა, მოკავშირეებისაგან მიტოვებული და ასეთი ბრძოლის განგრძობას, უეჭველია, დიდხანს ვერ შესძლებს. დღეს იგი დამარცხებული არაა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ძლიერ მოწადინებულია მშვიდობიანობას და სთხოვს იმდენს, რამდენსაც არ დასთმობდა სხვა სახელმწიფო მის მდგომარეობაში მყოფი. ამერიკამ წამოაყენა პირობები, რომელიც დეკლარაცია იყო და სხვა არაფერი. როგორც ეტყობა, ვილსონს არ ეგონა, თუ მისი პირობები როდისმე სერიოზულ მსჯელობის საგნად გახდებოდა, თორემ ისე იაფად არ დაჰხარჯავდა სხვა და სხვა ფრაზებს ერთა თავისუფლებასა და თანასწორობაზე. ამიტომ დღეს იგი თითქოს უკან იხევს და ნანობს კიდევაც, რომ ასეთი ლიბერალური პლატფორმა შეიმუშავა ოდესმე, როცა თურმე შესაძლებელი ყოფილა ბევრად უფრო მეტის წაგლეჯა და წართმევა.

მოკავშირენიც იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ შექმნილ მდგომარეობას და ძველებურად აღარ შეუძლიანთ მილიტარულ გერმანიის გასრესაზე ილაპარაკონ. ვინაიდან გერმანიის იმპერიალისტების მადა და მილიტარიზმი თვით გერმანიის ხალხმა ალაგმა და თვით გერმანელმა ერმა ჩასცა მახვილი საკუთარ იმპერიალისტებს მით, რომ სახელმწიფოს ბატონ-პატრონი გახდა, ასე რომ მოკავშირეების „მიშველება“ და გერმანიის ხალხის ხსნა „სულთამხუთავ და სისხლიან იმპერატორისაგან“ საჭირო აღარაა. რასაკვირველია, ეს გარემოება ძალიან დაალონებს და აბრაზებს კიდევაც ყველ ქვეყნის იმპერიალისტებს, რომელ

თაც გერმანიის დამონება და სრული დამონება სწადიათ.

საერთაშორისო მდგომარეობის და ზავის მოახლოვების გარდა თვით მებრძოლ სახელმწიფოებში ძლიერ საგულისხმო ცვლილებანი ხდება. გერმანიის შინაურ გარდაქმნის ამბავი მკითხველებმა უკვე იციან. იმპერია, რომლის მეთაურს ვილჰელმს ეკუთვნის ცნობილი აფორიზმი: ვოლუნტას რეგის—სუპრემა ლეკს (მეფის სურვილი უმაღლესი კანონიაო) უცბად პარლამენტარულ ქვეყნად გადაიქცა და მთავრობაში სოციალისტებიც კი იღებენ მონაწილეობას. ეხლა კი დიდი ამბავი მოხდა ავსტრიაში. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ“-ი გადმოგვცემს ზაგრებში მოხდა კროაციის, სლოვენიის და დალმაციის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამასთანავე გამოცხადდა—ამათ დამოუკიდებელნი არავითარი კავშირი არა აქვთ ავსტრიასა და უნგრეთთანაო, თანაც დასძინეს, რომ მათ მიზნად აქვთ გაერთიანება სლავიანებისა იზონცოდან ვარდარამდე.

ჩვენს თვალწინ ჩნდება ახალ-ახალი სახელმწიფონი, ხოლო ზოგიერთის ძირითადი გარდაქმნა ხდება. მართალნი ვიყავით, როდესაც ომის დასაწყისშივე აღვნიშნავდით, რომ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია ძველ კალაპოტში დარჩეს, მისი სვლის გზა უეჭველად გაფართოვდება და ძველს ვეღარ დაუბრუნდებით თქო. თვით მოკავშირე სახელმწიფოებშიაც არის საამისო ნიშნები. ზავის საკითხმა მათში ერთნაირი არევ-დარევა გამოიწვია. იტალიის ჯარში მოძრაობა და აღელვებაა. ასეთივე საფრანგეთის ჯარში. ფლანდრიაში მებრძოლმა ფრანგებმა უარი სთქვეს ფლანდრიის განადგურებაში მონაწილეობაზე და ისინი ინგლისელებით შესცვალეს. ერთი სიტყვით, ჩვენ უდიდეს ცვლილებათა წინაშე ვდგევართ და თუ ბოლშევიკების ოცნება მსოფლიო სოციალურ რევოლუციაზე გადამეტებულია და მხოლოდ ოცნებად რჩება—ყოველ შემთხვევაში მოხდება ძირითადი გარდაქმნა ევროპის ცხოვრებისა, რაიც პირდაპირი შედეგი იქნება ომისა და ამ ომში მასების მიერ მიღებულ გამოცდილებისა.

სახელმწიფო

ჩვენი მტრები კიდევ არ ცხრებიან და დროგამოშვებით ამ მხრიდან თუ იმ მხრიდან გვიპირებენ ლახვრის ჩაცემას. ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითია რკინის გზის ხიდის აფეთქება სოფ. ძეგვთან. უეჭველია ეს აფეთქება განკერძოებული მოვლენა არაა. არც გასაკვირველი და მოულოდნელია და მთავარი მიზეზი ამისა ჩვენ თვითონ ვართ—ჩვენი მთავრობა, ჩვენი პარლამენტი, მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი მართველობა.

დღემდის ვერ შევგვითვისებია ის ელემენტარული საანბანო პოლიტიკური მცნება, რომ სახელმწიფო არაა პარტია ან სხვა ნებაყოფლობაზე აგებული ორგანიზაცია, სადაც ყველაფერი შეთანხმებით, დაჯერებით, ჩაგონებით კეთდება; რომ სახელმწიფო არაა საქველმოქმედო ან შეწყალების და შებრალების დაწესებულება; რომ სახელმწიფო ვერ გაჰყვება იმ ქრისტიანულ მოძღვრებას, რომელიც გვიქადაგებს—თუ ვისმე ერთ ყბაში გაგარტყას, მეორე შეუშვირეო, და რომლისთვის მტერი უფრო საყვარელი უნდა იყოს ვიდრე მოყვარე.

საყოველთაო სიბრალულსა და გულკეთილობაზე სახელმწიფო არავის აუშენებია და ვერც ჩვენ ავაშენებთ. ამის თქმა რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ საფუძველი სახელმწიფოსი არის სიძულვილი და დევნა, შევიწროვება, დასჯა. არა. მხოლოდ სახელმწიფოს არსებობისათვის, რაც უნდა დემოკრატიული იყოს, აუცილებლად საჭიროა განსაზღვრული წესები და თუ ეს წესები შესრულებული და დაცული არაა, სახელმწიფოს სახელი იქნება მხოლოდ და არა სინამდვილე. ერთს დღესაც ვერ გასძლებდა სულ უბრალო, თავისუფლად შედგენილი საზოგადოება, რომლის წევრები წამ და უწუმ დაარღვევდნენ მის წესდებას; მით უფრო წარმოუდგენელია არსებობა ასეთ ვითარებაში სახელმწიფოსი, რომელიც არის ყველა საზოგადოების უდიდესი და უმტკიცესი.

წესი—კანონი და სახელმწიფო განუკვეთელი ერთეულია, კანონის გარეშე სახელმწიფო ცარიელი სიტყვაა და ამისათვის მოითხოვენ სახელმწიფოსაგან სიმკაცრეს და შეუბრალებლობას. სახელმწიფოს ბუნება კანონია და სახელმწიფო შეუბრალებელი და დაუნდობელი უნდა იყოს იმისთვის, ვინც მის კანონს—წესს ხელს შეახებს და მოინდომებს დარღვევას, ვინც არ ემორჩილება სახელმწიფოს დადგენილს და დაწესებულს. აი ამის აუცილებელი შეგნება აკლია ჩვენს სახელმწიფოებრივ მუშაობას ან ეგებ არის ამის შეგნება, მაგრამ იმდენად მკრთლად, რომ თავისუფალ ნებისყოფად ვერ გადაქცეულა.

აქედან წარმოსდგება ის ორჭოფობა და რყევა, რომელიც ასე ხშირად ემჩნევა ჩვენს სახელმწიფოებრიობას. გადავსწყვეტთ რასმე, ვიტყვით, რომ ეს საჭიროა უთუოდ სახელმწიფოს დასაცავად, მაგრამ გაივლის რამდენიმე დღე და სულ წინააღმდეგს ვაკეთებთ, თუმცა აზრი წინანდელი გვაქვს, არ გამოგვიცვლია. ყოველნაირად დასაბუთებული ცნობა გვაქვს, რომ ეს და ეს პირი, ან მთელი ჯგუფი სახელმწიფოს მტერია და მის დამხობისათვის მუშაობს; გადაწყვეტილი გვაქვს, რომ დაისაჯონ, მაგრამ რაღაც არა სახელმწიფოებრივის მოსაზრებისა და ან ვისიმე გარეშე გავლენის გამო, გადაწყვეტილება სისრულეში არ მოგვყავს. ვიცით, რომ ეს თუ ის მოხელე თავის მოვალეობას ღალატობს, მაგრამ პირადის ხათრით ხელს არ ვახლებთ და ბოროტებას ბოროტება ემატება და სახელმწიფოს ნდობა და პატივისცემა ეკარგება. ყოველ დღე ვხედავთ, სრულიად დაუბრკოლებლად ჩვენს საზღვრებში ჩვენი სახელმწიფოს მტრები და თავისუფლად დათარეშობენ, აშკარა აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ხმა ვერ ამოგვიღია—დემოკრატიულს წყობილებას არ ეკადრებაო. კვდება ალექსეევი, რომელმაც ომი გამოგვიცხადა, იმართება იმის მოსახსენებლად და პატივსაცემლად პანაშვიდი და ჩვენ, არა თუ არა გვაქვს რა საწინააღმდეგო, ვესწრებით კიდეც და მონაწილეობას ვიღებთ პატივისცემაში. ტფილისი აივსო უცხოელ ოფიცრებით, რომელთაც სრულიად კეთილი განზრახვები არ მოუწოდებდნენ ჩვენსკენ, ამის უტყუარი საბუთი არა ერთი ჩაგვივარდა ხელში, და ლამის არის მათმა შეთქმულობამ თავს არ დაგვანგრიოს მთელი ქალაქი, მაგრამ აქაც გულკეთილობთ, რასაკვირველია სხვებისთვის და არა ქართველ ერისთვის. ჩვენი რესპუბლიკის გულში, ჩვენს დედა ქალაქში რამდენიმე გაზეთი გამოდის, რომელნიც განუწყვეტლივ დღიდან დღე ერთს საქმეს აკეთებენ: აჯანყებენ მკითხველებს თავისუფალ საქართველოს წინააღმდეგ და მოურიდებლად მოუწოდებენ გარეშე მტრებს ჩვენი სახელმწიფოს დასანგრევად და მოსასპობად, მაგრამ ჩვენ გაჩუმებულნი ვართ და ვფიქრობთ, რომ ასეთი თავხედობა მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაა!..

ასეთი პოლიტიკა, ასეთი შეუგნებლობა სახელმწიფოებრივი მართველობისა შეუწყნარებელია. ან გვაქვს სახელმწიფო, გვწამს ჩვენი დამოუკიდებლობა და დავიცვათ იგი ღირსეულად, ან უარი ვსთქვათ ყველაფერზე და ისევ დავიდგათ კისერზე მონობის უღელი!..

სამ. ფირცხალავა.

ქართული პრესა

მკითხველებმა იციან, რომ ბაქოდან გამოქცეული „მენშევიკი“ აიოლლო ჩვენში თავისუფლად დათარეშობს: ჰკითხულობს ლექციებს, პროტესტებს სთხზავს და მიღებულია საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში, და თუ ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრე არა, მტერი მაინც არ ჰგონიათ. ნამდვილად კი აი, რას გვატყობინებენ ბაქოდან სანდო პირები ამ აიოლლოს შესახებ: „როცა ბაქოს მთავრობის სათავეში ჩადგნენ მენშევიკები და ესერები, რაც აგვისტოს დამდეგს მოხდა ამ პარტიების წარმომადგენელი აიოლლო და სადოვსკი (ს. დ.) და უმანსკი (ს. რ.) ლექციებით და გაზეთებში წერით სულ იმას გაიძახოდნენ თვე-ნახევრის განმავლობაში: „ბრძოლა არის საჭირო ოსმალოებთან და გერმანელებთან არა მარტო იმისთვის, რომ ბაქო შერჩეს რუსეთს, არამედ იმიტომაც, რომ ჩავიგდოთ ხელში ტფილისი, ბათომი და სხვ. რასაკვირველია, სომხები ამას ტაშს უკრავდნენ და ტფილისი მათ უკვე ხელში ჰქონდათ“...

აი, ეხლა ეს ვაჟბატონი ლექციებს კითხულობს ბაქოს ამბებზე, როგორც მიუდგომელი ადამიანი. განა საკვირველია, რომ იგი თავისებურად გააშუქებს ყველაფერს. ამას მოწმობს თუნდ ის შენიშვნები, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ერთობის“ № 236 ივ. მი—ძის მიერ. იგი ეხება მარტის ამბებს და ამბობს:

„საკვირველია, რომ ამხ. აიოლლო სომხის ნაციონალურ საბჭოს როლზე თითქმის არაფერს ამბობს და მთელს ბრალს მაჰმადიან ბოგანოთა ხოცვა-ჟლეტაში განსაკუთრებით ბაქოში ჩამორჩენილ „მშიერ სომეხ ფრონტოვიკებს“ სდებს. ის ამტკიცებს სომეხთ ნაციონალური საბჭო ბოლომდის ნეიტრალიტეტს იცავდაო.

ასეც შეჰპირდნენ მუსსავათელებს. უკანასკნელებმა შეიარაღებულ გამოსვლის წინ მიმართეს სომ. ნაც. საბჭოს თხოვნით, რათა მათ ნეიტრალიტეტი დაეცვათ, რადგან ისინი (მუსსავ.) მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოდიან. პირველმა სრული ნეიტრალობა აღუთქვა.

თუ არ სომხების „მესვეურების“ აღთქმა, მუსსავათი გამოსვლას ვერ გაბედავდა, რადგან მომზადება აკლდა.

როგორც ამხ. აიოლლო ამბობს, თუ რომ მართლა სომეხ „ფრონტოვიკებზე“ იყო საქმე და მათზე სომხ. ნაც. საბჭოს მათში გავლენა არ ჰქონდა და მარტის ტრაგედიის ნაციონალური ხასიათის მიღება მოსალოდნელი იყო, ეს სომხის ხალხის „მესვეურებს“ უფრო კარგად უნდა სცოდნოდათ.

რათ არ მოიხადეს თავის ზნეობრივი ვალი და მუსსავათი არ გააფრთხილეს პირადათ ჩვენ ბრძოლაში არ გავერევით, მაგრამ ჩვენ ხალხის გარანტიას კი ვერ მოგცემთო.

მოსალოდნელი იყო, ასეთი განცხადება მუსსავათს შეაჩერებდა. თუ არ დაიშლიდნენ და მაინც გამოვიდოდნენ, სომეხთა „მესვეურები“ ხელდაბანილები იქნებოდნენ.

მეორე საკითხია:

რად ღებულობდნენ დაშნაკელები ბრძოლაში მონაწილეობას („მეძარცვენები“ კი არა მემარჯვენეები), რაზმებს მეთაურობდნენ და სხვ.

„დაშნაკცუთიუნი“ გაბატონებული ფრაქციაა სომეხთა ნაციონალურ საბჭოში და სიტყვით სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა. რომ დაშნაკელები თავის რაზმებით მარტის ტრაგედიის დატრიალებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ, ეს მტკიცდება თვით დაშნაკელების განცხადებითაც, როდესაც ბოლშევიკებმა საბჭოსტროში მათ ადგილი არ მისცეს. ისინი საჯაროდ გაჰყვიროდნენ: ჩვენ გავამარჯვებინეთ, ჩვენ მივეცით ძლევა ბოლშევიკებს, თავგანწირულად ვიბრძოდით, რომ ჩვენ არა, თქვენ დამარცხდებოდითო, დღეს მთავრობაში არ გვიშვებთო. ასეთ განცხადების შემდეგ, სად ხედავს ამხ. აიოლლო ნეიტრალობას?

თუ კომისრების არჩევნების დროს დაშნაკელებმა თავი „ნეიტრალობით“ შეიკავეს, რატომ არ გამოაცხადეს ნეიტრალიტეტი ბოლშევიკების მოქმედების დაწყებისას ამ მოვლენების საკითხი გარჩევის დროს და ხმის მიცემით ბოლშევიკების გამოსვლა რად მოიწონეს? კომისრების არჩევნების დროს თავის შეკავება, მთავრობის გარეშე დარჩენის უკმაყოფილებას გამოხატავდა და მეტს არაფერს.

ერთი ადამიანის ნამოქმედარის მიჩქმალვა შეიძლება, მაგრამ როდესაც მთელი სომხის ნაწილი ქალაქისა მაჰმადიანების წინააღმდეგ გამოდიოდნენ—ჰკლავდნენ და სიმდიდრე მათი კი სახლში მიჰქონდათ, ისე როგორც ბაქოს მაჰმადიანებმა ჩაიდინეს სექტემბერში სომხების წინააღმდეგ, ამის ლამაზი სიტყვებით მიჩქმალვა შეუძლებელია.

სომხის ნაციონალისტების უცოდველ კრავათ მოჩვენება, სიმართლის მიფუჩეჩებას ან პირფერობას ნიშნავს.

ერთიცა და მეორეც დაუშვებელია“, ჩვენ კიდევ გვექრება მოთმინება ა. აიოლლოს მოქმედების შესახებ ლაპარაკისა, როცა ვიკითხავთ იმ გაზეთებს, სადაც იგი ტფილისზე გალაშქრებისათვის მოუწოდებდა...

მთავრობაში

ოქტომბრის 31-ს მთავრობამ დაადგინა: დაევალოს გზათა სამინისტროს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ დამზადებულ შეშის შემოსაზიდად.

—

საკათალიკოსო საბჭოსაგან წარმოდგენილი კანონ-პროექტი და დებულებანი; საქართველოს ეკლესიის ქორწინება-განქორწინებისა, გადაეცეს განსახილველად და დასკვნისათვის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენლებისაგან შემდგარს კომისიას.

—

მიეცეს ერთდროულ დახმარების სახით ასურელთა ეროვნულ საბჭოს ასურელ ლტოლვილთა დასახმარებლად და თავის ქვეყანაში დასაბრუნებლად 15000 მან. ლტოლვილთა თანხიდან.

—

თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენებისა, მიენდოს ფინანსთა მინისტრს მოახდინოს განკარგულება რომ ათ მილიონიან ფონდიდან გადაგზავნოს დუშეთის ხაზინაში 100,000 მანეთი და თიანეთის ხაზინაში 47000 მანეთი ადგილობრივ მილიციის მოსამსახურეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

—

გაუქმებულ იქმნეს მთავრობის 23 ოქტომბრის დადგენილება სომხებისათვის ხვედრ-ბონების შეჩერების შესახებ.

—

თანახმად სახელმწიფო კანტროლიორის დასკვნისა მთავრობის და დამატებითი ოქტომბრის 10 დადგენილებისა, გაეხსნას ტფილისის სახაზინო პალატის მართველს, 3000 მანეთის კრედიტი მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა რევიზიისა და სამგზავრო ხარჯებისთვის.

—

გაეხსნას ქუთაისის სახაზინო პალატას 38185 მან. კრედიტი მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

—

ფინანსთა სამინისტროსაგან წარმოდგენილი კანონ-პროექტი ამიერკავკასიის მეაფთიაქეთა კოოპერატიულ საზოგადოების „ზაკო“-ს გამგეობის მთავრობასთან ხელშეკრულების დადების შესახებ საზღვარ გარეთიდან წამლების და სხვა სააფთიაქო საქონლის შემოტანისთვის, მოწონებულ იქმნას იმ პირობის დაცვით, სახელმწიფო კანტროლიორს რომ დაუნახავს.

—

საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის ხარჯთ აღრიცხვა და შტატები დამტკიცდეს სახელმწიფო კანტროლიორის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

—

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს 674,778 მან. 34 კ. კრედიტი ტფილისის გუბერნიის საპყრობილეთა შესანახად.

დაევალოს იუსტიციის მინისტრს დაუყოვნებლივ წარადგინოს პარლამენტში ამ დადგენილების კანონპროექტი.

უკანასკნელი ცნობები

როგორც დანამდვილებით გავიგეთ ოსმალეთს უკვე ზავი შეუკრავს ინგლისთან.

გერმანიის ჯარი.

გერმანელთა ჯარის ნახევარი დარჩება საქართველოში ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა თანხმობით.

ზავის გარშემო

სტამბოლი. 1 ნოემბერი. სამხედრო ცნობა. ოქტომბრის 30 დროებითი ზავის ჩამოგდების გამო ყველა ფრონტზე ბრძოლა შესწყდა.

ბერლინი. 31—10. ჩვენს მოწინააღმდეგეებს ჯერ არ შეუტყობინებიათ დროებითი ზავის პირობები. ეტყობა ამ დღეებშიაც ვერ მივიღეთ, რადგან მოკავშირე სახელმწიფოები ელიან ამერიკის არჩევნებს, რომელიც ნოემბრის 5-მდე ვერ მოხდება.

იმპერატორ ვილჰელმა ბერლინში რამდენიმე კვირა დაჰყო და ეხლა მთავარ ბანაკში წავიდა.

ომის ამბები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი. ნოემბრის 1. სალამოს სამხედრო ცნობა. ლისის ფრონტზე, დეინზეს სამხრეთით, მდგომარეობა უცვლელია. დეინზეს სამხრეთით ჩვენ დავიხიეთ შელდისკენ და ამით ავიცდინეთ მტრის იერიში. ვალენსიენის სამხრეთით კონტრ-იერიშით შევაჩერეთ ინგლისელთა ძლიერი იერიში. ენის ფრონტზე და არგონებსა და მაასის შუა ძლიერი ბრძოლაა. ენის მაღლობებზე, შატო-პორსიენის ჩრდილო-დასავლეთით და ვუზიერის ორივე მხარეზე ფრანგების იერიშებმა ვერ გაიმარჯვა და მტრის ჩვენ ხაზებში შემოჭრა კი ადგილობრივი ხასიათისა იყო. ამერიკელების იერიშები შამპნეულ [illegible] ენკრევალს ხაზზე შევაჩერეთ.

იტალიის ფრონტზე. ავსტრიელთა შორის სრული დეზორგანიზაციაა. პიავა მთლიანად გადალახულია იტალიელთა, ფრანგთა, ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ. მტერს 300-ზე მეტი ზარბაზანი წავართვით და 50,000 ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. ამ აუნაზღაურებელმა ზარალმა აიძულა ავსტრია დაუყონებლივ ეთხოვა დროებითი შერიგება.

უცხოეთი

ოსტროგოჟსკი, ოქტ. 31. ხარკოვში შესდგა სრულიად რუსეთის ეროვნული კავშირი, რომელიც თავს უყრის რუსეთის შავრაზმელებს. მოელიან კავშირის ბლოკს კადეტებთან. კავშირის მიზანია—სოციალისტურ მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლა.

ვენა. 31—10. ავსტრიის გერმანელთა ეროვნულმა კრებამ შეიმუშავა დროებითი კონსტიტუცია: მართვა-გამგეობის უფლება გადაეცემა სამ პრეზიდენტისა და 20 წევრთაგან შემდგარ აღმასრულებელ კომიტეტს. ამ კომიტეტმა გაუგზავნა ვილსონს ნოტა, სადაც აუწყებს რომ შესდგა დამოუკიდებელი გერმანული ავსტრიის სახელმწიფო, რომელსაც საზავო მოლაპარაკების დროს საკუთარი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს.

ბერლინი ბუდაპეშტიდან მოსულ ცნობების მიხედვით იქ რევოლუცია დაწყებულა. ეროვნულმა საბჭომ მთავრობის მაგიერობა იკისრა, რომელიც დაადასტურა გარნიზონმა და პოლიციამ.

ახალი ამბავი

◆ **ამხ. ილიკო ალლაძის ავადმყოფობა.** ბაქოდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: მესამე კვირაა სწოლიარე ავად არის ილიკო ალლაძე. ავადმყოფობა მძიმეა, მაგრამ იმედი გვაქვს მალე განკურნებისა. ცქ. თურქია.

◆ **ამხ. კონსტ. რაჭველიშვილი** სამშაბათს, ნოემბრის 5-ს ნაძალადევის სახალხო უნივერსიტეტში წაიკითხავს მესამე ლექციას: საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრება მე-19 საუკუნეში.

◆ **ექსკურსიები.** სამეურნეო სატექნიკო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა მოაწყოს მოწაფეთათვის მთელი რიგი ექსკურსიებისა როგორც ტფილისში, ისე მის გარედაც. მოწაფეებმა ამ დღეებში დაათვალიერეს არსენალი.

◆ **ქართულ სატექნიკო საზოგადოებასთან** არსებული სატერმინოლოგიო სექცია აცნობებს დაინტერესებულთა საყურადღებოდ, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიის გაგრძელების ბეჭდვა დაიწყება გაზეთ „მომავალი“ კვირას, ნოემბრის 3.

◆ **თეატრის წევრთა კრება.** დღეს (კვირას) ნოემბრის 3 ნაშუადღევის 4 საათზე, საქართველოს სახალხო თეატრის შენობაში დანიშნულია ადგილობრივ თეატრის წევრთა საზოგადო კრება. ვინაიდან ეს კრება მეორეთაა მოწვეული, ის კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ **ლექცია.** კვირას, ნოემბრის 3-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე, გერმანიაში ცნობილი ლექტორი ბ-ნი დოქტორი [illegible] წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „გერმანია და ომი“.

ლექცია გაიმართება მსოფლიო სამეურნეო საზოგად. ბინაზე, ალექსანდრეს ბაღი, ბარიატინსკ. ქუჩ. ლექციის შემდეგ დანიშნულია ქართულ-გერმანულ საზოგადოების გამგეობის არაჩვეულებრივი სხდომა. წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ.

◆ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“** დღეს ნოემბრის 3-ს, კლუბთან არსებულ ქართველ წარმომადგენელთა [illegible] წრე მართავს მორიგ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული ცნობილი დრამა „ქრისტინე“. ბილეთები სახალხოა. დასაწყისი 8 საათზე.

◆ **სახალხო სახლი.** ორშაბათს, ნოემბრის 4-ს, სახალხო სახლში წრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება 1) მაღაროს უფროსი მუშა, 2) რაც გინახავს, ვეღარ ნახავ. დასაწყისი სრულ 8 საათზე, ადგილების ფასები სახალხოა.

◆ **ნაფიცი მსაჯულები ჯარში.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა,

შეატყობინეთ ჯარს, რომ ამ თვის 4-ს სამხედრო სამმართველოში კენჭის ყრა მოხდება საქართველოს ლაშქრის სამხედრო სასამართლოს სამხედრო ნაფიც-მსაჯულების ასარჩევად, მომავალ სესიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც უნდა შესდგეს ნოემბრის 21-დან დეკემბრის 6-მდეო.

◆ **პარადი.** გუშინ ტფილისში მყოფ ჯარის პარადი გაიმართა, რომელშიაც მონაწილეობას ღებდნენ ცხენოსანი და ქვეითა პოლკების ნაწილები. ჯარი მრავალრიცხოვანი იყო და სუფთად და კოხტად გამოწყობილი, წესიერად და მიჰყვებოდა სამხედრო მუსიკის ხმას.

◆ **სამხედრო სამინისტროში.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ორშაბათიდან სამხედრო სამინისტროს ყველა კანცელარიაში აუცილებლად ქართულად აწარმოვონ საქმეები.

◆ **კაცის გატაცება.** ოქტომბრის 31-ს [illegible] [illegible] ქუჩაზე ბოროტგანმზრახველებმა მოტყუებით სახლიდან გამოიხმეს და ხოჯევანქის სასაფლაოსაკენ გაიტაცეს მოქალაქე იაკობოვი.

◆ **სისხლის სამართლის მილიციაში.** მილიციის უფროსმა ურუშაძემ დაათვალიერა სისხლის სამართლის მილიციის საქმეები, რომელნიც მთლად დაფუჩქულნი აღმოჩნდა. მაძებრობის საქმე მთლად მიტოვებულია, მილიციის მოსამსახურენი არც კი ესწრობოდნენ თანამდებობის საქმეთა აღსრულებას. ამის გამო მილიციის უფროსმა ყველა მოსამსახურე დაითხოვა და ახლებით შესცვალა.

◆ **თათბირი.** შრომის სამინისტრო იწვევს რკინის გზის მთავარ კომიტეტისა და სამინისტროთა წარმომადგენლების თათბირს. რკინის გზის საფინანსო საქმეების განსახილველად.

სოფლად და ქალაქად.

თელავი.

◆ დასრულდა თელავის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა, საბჭოს პრეზიდიუმში აირჩიეს ბ. ქუმბურიძე, ს. მაჭავარიანი და ვ. პაატაშვილი, ხოლო გამგეობაში ლ. ვანვანიშვილი, ხ. რამიშვილი, ალ. ხითაროვი და გ. რცხილაძე, გამგეობის მეხუთე წევრის არჩევნები სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის წინადადების თანახმად გადაიდო საბჭოს შემდეგ ყრილობამდე.

პანკისის ხეობა.

◆ ოქტ. 14 პანკისის ხეობის კომისარს ლუკა ნაცვლიშვილს მოუვიდა ცნობა, რომ ს. კუდახტის ახლო ტყეში ჩაჩნის ყაჩაღთა ბრბო იმყოფებაო, კომისარმა საჩქაროდ მოახდინა განკარგულება, შეჰყარა სოფლების შეიარაღებული ხალხი და მათ დააჭერინა ყოველივე გზა, თითონ თავისი 8 მილიციელით წავიდა ხსენებულ ალაგას, სადაც იმყოფებოდა ყაჩაღთა ბრბო. 9 საათი იქნებოდა ღამისა კომისარი მიაწყდა მათ და მოუხდათ კარგა ხნის სროლა. ყაჩაღებმა ტყისაკენ დაიხიეს და გაიფანტნენ, კომისარმა მოუარა სამხრეთით ს. ლუისოფლის ახლო „ბაბურაზე“ სადაც გამოვიდა მაშველად ს. დუისოფლიდან გიომარგოშვილი, ბაშკაზეხოშვილი და მაგაიდუიშვილის მეთაურობით დიდძალი რაზმი, ღამის 2 საათზე მათ წააყდა ყაჩაღთა ბრბო, სადაც მოუხდათ დიდი ხნის სროლა. ბრბო დამარცხდა და იძულებული გახდა ცხენები დაეტოვებინა და დაიხია ტყისაკენ, გათენებისას მოუყარეს თავი 13 ცხენს, ყაჩაღთაგანი ერთი მოკლულია და ერთი დაჭრილი, ცხენები მესამე დღეს კომისარმა გადასცა თიანეთის მაზრის კომისრის თანაშემწეს გ. ბურდულს. ხსენებული ცხენები გამოდგა ეოწო-თიახელებისა.

◆ ოქტ. 15 კომისარს კიდევ მოუხდა ს. ჯოყოლოს ახლო ჰობისს ტყისაკენ ყაჩაღთა ბრბოსთან სროლა, ყაჩაღთა ბრბოს ნასროლი ტყვიას გაუვლია მილიციონერი საიუმარაშვილის სახლი და ახაი ბორჩაშვილის სახლს. კომისარი ლუკა ნაცვლიშვილი მტკიცედ იცავს წესიერებას. პანკისში სიმშვიდეა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს დილის 11 საათზე მოხდება საგუბერნიო კომიტეტის სხდომა.

—

მოწაფეთა კრება კვირას, ნოემბრის 4-ს დილის 10 საათზე პარტიულ ბიუროში დანიშნულია ტფილისის ყველა სასწავლებლის ს.-ფ. მოწაფეთა საზოგადო კრება ამხ. ქრის. რაჭველიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: მომენტი და ჩვენი ახალგაზრდობა. მოხსენების შემდეგ განსახილველია ფრიად სასწრაფო და სერიოზული საკითხები.

ფერადი, ფერადი!

მოტო: გრძნობის ლახვარმა დამიფხრიწა ლექსის აბჯარი.
მეორე ლექსიდან.

ფერადი, ფერადი პოეტო ფერადი შენ სისხლში ჩუხჩუხებს შენს გულში
ბუდობს.
ფერია ქვეყანა ფერადით მოსილი ხალიჩა ქსოვილი
მიწისა გულმკერდი.
შეჰხედე,
ღრუბლების დალარულ ნაოჭებს
შეჰხედე ამ მთებს,
ამ ნიავლვარებს.
სულ ყველგან ფერადი, სულ ყველგან პურპური ზაფხულის ლოყებზე
და ზამთრის ცრემლებზე.
ფერადი იფრქვევა მზის ცეცხლის თვალიდან
ფერადი იფრქვევა მიწისა ძარღვებში.
ოჰ, როგორ მაცივებს ფერადის წყურვილით, ფერადით სიტყვები!
ფერადით... ფრაზები!
მოვქსოვე ხალიჩა სიტყვებით ხალიჩა
გრძნობისა ფერადით, სიტყვების ყასნახით.
ფერადი სიტყვებით იშობა ზაფხული
სიტყვით თოვლს მოვიყვან ან მთიდან ნიავლვარს
სიტყვების ძახილზე მოვლიან ზამთარში
შორს გადახვეწილი სამხრეთის ფრინველნი.
სიტყვებით გულს მოჰკლავ გულს გაავარვარებ
ფერადით ღიმს მოჰგვრი თვალს ნამტირალებს
პურპურის სიტყვებით სიყვარულს მოიმკი
ეგ არის ქვეყნისა ჯავარი მშვენება.
ფერადი იფრქვევა ზღვის ღია თვალებზე
ფერადი
იფრქვევა ქალწულის ლოყებზე როს სიძე ჭაბუკი თვალებში შეჰსცქერის
ფერადი იფრქვევა ქალწულის ღაწვებზე
მსურს შუა ზამთარში
ჰყვავოდეს ვენახი
მსურს:
თოვლით დავტვირთო ხე ნაყოფ-შესხმული ვაშლის ხე სისხლის ფერ
ყვავილთა ქულებით.
ჩემ ძვირფას ბაღნარში ჰხარობენ ყვავილნი და მინდვრის ყვავილებს
არ ედარებიან.
ჩემ გულში გალობენ ხმა ტკბილი ფრინველნი ისინი ჩრდილოეთს
არ ეკარებიან.
იხარეთ ჩემ გულში ფერადნო, ყვავილნო
იმღერეთ
ჩემ გულში ფრთაჭრელო ფრინველნო!
სულ ჩემთან იყავით ჩემს უკვნობ ბაღნარში
ეგ გული თასია ფერადის ჭურჭელი
ფერადის ჭურჭელი გამოულეველი,
ჩემ გულში გიზგიზებს სამსხვერპლოს კოცონი
მზის საცეცხლურით და მზის საკურთხეველით!..
ბერლინი. 1918 წ.
სექტემბერი.

კოწია გამსახურდია.

—

ტფილისის კომიტეტის სხდომა. ორშაბათს, ნოემბრის 4-ს საღამოს 7½ ს. დანიშნულია სოც.-ფედ. პარტიის ტფილისის კომიტეტის სხდომა. განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები. წევრებს და კანდიდატებს ვსთხოვთ უკლებლივ დაესწრონ სხდომას.

—

საქ. სოც.-ფედ. ს. პარტიის **ფოთის კომიტეტი** თავის პარტიულ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ ამით აცხადებს, რომ 1918 წ. პირველი ოქტომბრიდან წევრებზე ყველა დღემდის გაცემული საწევრო ბარათები გაბათილებულია, ხოლო ახალ საწევრო ბარათების მისაღებად კი (თანახმად პარტიულ ორგანიზაციის ახალი წესისა) გამოცხადდნენ ადგილობრივ პარტიულ კლუბში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა არა უგვიანეს ორი კვირისა.

ფოთის კომიტეტი.

—

მოხსენება პარტიულ ბიუროში. ოთხშაბათს ნოემბრის 6 სოც.-ფედერ. სარ. პარტ. კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი საოთხშაბათო კრება. პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი და ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ამხ. იოსებ ბარათაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „პარლამენტი და საქართველოს სახელმწიფო“. მოხსენება იმდენად სერიოზულ საკითხს ეხება, რომ სასურველია რაც შეიძლება მეტი ამხანაგი დაესწროს. მოხსენების შემდეგ გაიმართება ფართე ხასიათის კამათი.

† ამხ. კალისტრატე ლალიაშვილი

ამ დღეებში ტფილისში გარდაიცვალა ჩვენი ახალგაზდა ამხანაგი კალისტრატე ლალიაშვილი. ვინც იცნობდა განსვენებულს, მოხიბლული იყო მისი არა ჩვეულებრივი საყვარელი პიროვნებით, უსაზღვროდ პატიოსანი და გულწრფელი, იგი ამასთანავე მარჯვე საქმის კაცი იყო და როგორც კერძო სამსახურს, ისე პარტიულ დავალებას ყოველთვის პირნათლად და ბრწყინვალედ ასრულებდა.

განსაკუთრებით მძიმე დანაკლისია ამხ. კალისტრატე ჩვენთვის: რადგანაც ის იყო პირველი ჯარის კაცი, რომელიც ჩემს მიერ მოწყობილ სოციალისტ-ფედერალისტთა წრეში შემოვიდა. შარშან რევოლიუციის პირველ თვეებში ქ. ერივანში, სადაც მე მაშინ სამხედრო სამსახურში ვიყავი გამწესებული და კალისტრატეც ჩემთან მსახურობდა. იმ დროს, მიუხედავად ხელის შემშლელ პიროვნებისა და სოც. ფედერალისტების პირველ ქრისტიანებივით დევნისა ქართველივე ჯარისკაცების მიერ, ჩვენ შევსძელით ერევანში ოცზე მეტი პარტიული კრება მოგვეხდინა და ჩვენ თანაგრძნობ თანამოაზრეთა რიცხვი ჯარის კაცებში რამდენიმე ასამდის აგვეყვანა. ჯარის კაცებს ჰხიბლავდა კალისტრატეს მაგალითი, მისი ნათელი, გატაცებული პიროვნება და სოციალისტ-ფედერალისტებს ნდობით დაგვიწყეს ყურება. ერევანში შეიქმნა უდიდესი კონტიგენტი სოც.-ფედერალისტ ჯარის კაცებისა და ამაში დიდი წილი განსვენებულს კალისტრატეს უდევს.

ამხ. ლალიაშვილის მოკლე ბიოგრაფია ასეთია: დაიბადა 1894 წ. ენკენისთვის 20 სოფ. ოფიშკვეთში (ქუთ. მაზ.) სწავლა მიიღო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1911 წ. შევიდა სამსახურში ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში. 1913 წ. წაიყვანეს სამხედრო სამსახურში. ომის გამოცხადების პირველ დღიდან მუდამ ბრძოლაში იყო, პირველად ავსტრიისა და გერმანიის ფრონტზე, შემდეგ კავკასიის ფრონტზე. დაიჭრა სამჯერ, დაჯილდოვებული იყო წმ. გიორგის ჯვრით მამაცობისთვის. როცა ქართული პოლკების შედგენა დაიწყეს, შევიდა ტფილისის მეხუთე ქართულ პოლკში. შემდეგ მსახურობდა ქართულ კორპუსის შტაბში. მონაწილეობა მიიღო ტრაპიზონიდან იარაღის და სურსათის გადმოტანაში ამხ. სამსონ დადიანთან ერთად.

შემდეგ ამისა წავიდა ბათომის დასაცავად და სოფელ-ქალაქებში ანარქიის ჩასაქრობად. შემდეგ გაანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან და შებრუნდა ისევ ფოსტის სამსახურში. სულით და გულით მოხარული იყო, რომ ტფილისში გადმოიყვანეს და ამბობდა: „აწი კი ალარაფერი მიშლის, შემიძლიან მეტი სამსახური გაუწიო სამშობლოს და ჩვენი პარტიის საქმესო!“ მაგრამ მუხთალმა ბედმა არ დააცალა, ანთებისთანავე ჩააქრო მისი სიცოცხლის სანთელი და ამხანაგებს გული დაგვიწყვიტა.

მშვიდობით, საყვარელო ამხანაგო, შენს ამაგს ჩვენი პარტია ვერ დაივიწყებს და შენი ჩუმი საქმიანობა და შენი ნათელი პიროვნება ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება!

ს. აბულაძე.

ქსნის ხიდის აფეთქება

სად. ქსანსა და მცხეთას შუა ძეგვის ხიდის აფეთქების ჩამდენი ბოროტები უნდა ტფილისიდან იყვნენ ჩასულნი, რადგანაც ადგილობრივ დათვალიერების დროს გამომძიებამ მოიპოვა ამისი დამასაბუთებელი ცნობები. ბოროტებს შეურჩევიათ ხიდის აფეთქების დრო ღამე ოქტომბრის 31-სა და ნოემბრის 1-ს მათ სცოდნიათ გათენებისას უნდა გაევლო გერმანელ ჯარის ეშელონს და მართლაც მატარებელმა გერმანელთა ჯარით სულ 20 წამით ადრე გაიარა ხიდზე აფეთქებამდე. ბოროტგანმზრახველებს პიროქსილინი დაუწყვიათ ხიდის ისეთს ნაწილებში, რომ თუ მათი შემაერთებელი პატრუქი შუაზე ერთს ადგილზე აფეთქების დროს არ გამწყდარიყო ხიდი სრულიად მოწყვეტით მტკვარში ჩაინგრეოდა; იღბლად ბოროტებმა თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს და აფეთქდა ტფილისის მხრიდან ხიდის ქვედა სართულის ისეთი ნაწილი, რომლის შეკეთება ტეხნიკოსების აზრით სულ მცირე ხანში შეიძლება მატარებლების წესიერ მიმოსვლისათვის. ადგილობრივ, ნოემბრის 1-ს, დილით ძეგვში მივიდნენ მინისტრები გზისა, იუსტიციისა, სამხედრო, შინაგანი, გუბერნიის კომისარი, რკინის გზის უფროსი და სხვ. გამომძიებას იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით შეუდგა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი. ხიდის მცველთა უფროსი ტალახაძე თავის ადგილზე არ აღმოჩნდა. აფეთქების დროს ადგილობრივ ყოფილა ოთხი ჯარისკაცი და ორი გზის დარაჯი. როგორ ვერ გაიგეს ამათ, რომ ხიდზე ჩავიდნენ ბოროტგანმზრახველები? გამომძიებამ ამ საქმის გამო დააპატიმრა სოფელ ძეგვის კომისარი ოთხი ჯარისკაცი და ორი დარაჯი. ხიდთან ნახეს კალათი და სხვა ნივთები. ყოველივე ღონისძიებაა მიღებული ჩვენის ქვეყნის მტრების აღმოსაჩენად.

ამხ. სტუდენტების საყურადღებოდ!

ხუთშაბათს, ნოემბრის 7-ს ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტ. სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) სახელმწიფო უნივერსიტეტის ს.-ფედ. სტუდენტთა პარტიულ ბიუროს არჩევნები.

2) კანდიდატების დასახელება უნივერსიტეტის სტუდენტთა მომავალ გამგეობაში.

3) და სხვა მიმდინარე საკითხები.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, მათაც, რომლებიც დილით უსმენენ ლექციებს, აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

—

ამასთანავე ვაცხადებთ ამხანაგ სტუდენტების საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა უნივერსიტეტში შეიძლება შემდეგ ამხანაგებთან: ქეთევან კარიჭაშვილთან, ქეთევან ქავთარაძესთან, გოგოცა ჯანელიძესთან, გია აბაშიძესთან, დავით მგალობლიშვილთან, პეტრე კოპაძესთან, შალვა კიკნაძესთან, საველ აბულაძესთან, გედეონ სვანიძესთან და ვარლამ ძიძიგურთან.

ყოველი წევრი დადგენილ საწევრო გადასახადის შეტანის შემდეგ მიიღებს ბარათს.

გერმანიის „სისუსტე“

ოთხ წელზე მეტი გერმანიაა განცვიფრებაში მოჰყავდა მთელი ქვეყნიერება თავისი შესანიშნავი ტეხნიკით, საოცარი ორგანიზაციით, კარგად აწყობილ სამეურნეო აპარატით, მოქალაქეთა მტკიცე სულიერი განწყობილებით, ერთსულოვნებით და ძლიერებით. ყველა მისი მოკავშირეების დამხმარე როგორც მატერიალურად, ისე ფიზიკურად და მორალურად, მათი დასნეულებული ორგანიზმის გამჯანმსაღებელი და სულის ჩამდგმელი გერმანია იყო. თითქმის მთელი სიმძიმე ამ უმაგალითო საკაცობრიო შეჯიბრებისა გერმანიას აწვებოდა და ის არა თუ ღირსეულად უმკლავდებოდა ქვეყნიერების თითქმის ყველა ზომიერს და დაწინაურებულ სახელმწიფოებს, არამედ გამარჯვებულიც კი გამოდიოდა..

ეს აიხსნება მხოლოდ მით, რომ გერმანია მის მოწინააღმდეგებზე გაცილებით უფრო მაღლა იდგა. არა თუ რუსეთის, თვით ინგლისის და საფრანგეთის ტეხნიკამაც კი ვერ შესძლო გერმანიის ტეხნიკასთან შეჯიბრება; სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებას და ორგანიზაციის საქმეში გერმანია ყოველთვის მაგალითს იძლეოდა და თავის დროზე მის მიერ გადადგმული ნაბიჯები სხვა ქვეყნებში ტარდებოდა ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მომენტი უკვე გაშვებული იყო და მდგომარეობის გამოკეთება თითქმის შეუძლებელი.

გარკვეული და მიზანშეწონილი გეგმა, შეთანხმებული და მხურვალე მოქმედება, გონივრული დიპლომატიური ნაბიჯები, —აი კიდევ რა ანიჭებდა ხოლმე უპირატესობას გერმანიას.

ეკონომიურად სუსტი, ტეხნიკურად ჩამორჩენილი და მატერიალურად დაძაბუნებული რუსეთი ბოლომდის ვერ გაჰყვა ამ საერთაშორისო ჭიდილში და ღონე მიხდილმა მორჩილება განაცხადა. კრიტიკულ მდგომარეობაში არა ერთხელ თვით ინგლისი და საფრანგეთიც ჩავარდა; იყო მომენტები, როდესაც გერმანიის ძლიერების წინაშე მათაც კინაღამ ქედი მოიხარეს, მაგრამ ავად თუ კარგად დღევანდლამდის მოაღწიეს. დღეს კი მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. საერთაშორისო შეჯიბრებაში მხურვალე მონაწილეობა ამერიკამ მიიღო, რომელიც ამდენხანს თავის ენერგიას აგროვებდა, ძალ ღონეს იკრებდა და ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს ანვითარებდა. და ეს მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოები სისხლიდან იწრიტებოდნენ; ტეხნიკურად ისედაც დაწინაურებულ ამერიკას ამ ომის დროს სხვა ქვეყნებზე უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდა კიდევ მეტი დაწინაურებისთვის და წინმსვლელობისთვის; ფინანსიურად ისედაც ღონიერი ამერიკა ეხლა ხომ კიდევ უფრო სუქდებოდა და ძლიერდებოდა სხვა სახელმწიფოების ხარჯზე. ერთი სიტყვით, მდგომარეობა შეიცვალა დასვენებული, ტეხნიკურად განვითარებული, მდიდარი და ძლიერი ამერიკის გამოსვლით, მისი აქტიური მონაწილეობით..

ამას მოჰყვა ბულგარეთის ჩამოშორება, ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება, ავსტრო-უნგრეთის რყევა და გერმანიის იზოლიაცია. ეხლა კი ნამდვილად მარტო გერმანია დარჩა თითქმის მთელი კაცობრიობის წინაშე, და თუ მას ვერ გაუძლო, ნუ თუ ეს მის სისუსტეს მოასწავებს!! ტყუილად გაისმის ზოგიერთ წრეებში ხარხარი გერმანიის „უძლურების“ გამო; ტყუილად იწუხებენ თავს ეს ბეცი პოლიტიკოსები ძლერი გერმანიის არსებობის დღეების თვლით და ანგარიშით!,.

ის ქვეყანა, რომელმაც ამდენი ხნის განმავლობაში ურიცხვი მაგალითი მოგვცა თავისი ძლიერებისა, გონიერებისა, წინდახედულებისა და წარმატებისა, არ შეიძლება ერთბაშად, ასე ვსთქვათ, თვალის დახამხამებაში უძლურ სახელმწიფოდ გადაქცეულიყო. გერმანია ისეთივე ძლიერია, როგორც იყო! რა უყოთ, თუ მეგობრებმა უღალატეს, მოწინააღმდეგეთა ბანაკს კი მიემატა ერთი ძლიერი ტეხნიკურად და მატერიალურად მეტად დაწინაურებული და თან დასვენებული ქვეყანა. გერმანიის დემოკრატიის მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება და მისი შესანიშნავი ისტორიული ნაბიჯი ზავის ჩამოგდების საქმეში,—ესეც მისი ძლიერების დამამტკიცებელია.

ინჟ. გ. კაკაბაძე.

შთაბეჭდილებანი

გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან
კრულია
მისი პირადი ღირსება ყოველგან
დაჩაგრულია.
აკაკი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართველი ერის გულიდან გადაგორდა ლოდი, რომელიც მას 120 წ. განმავლობაში თავისუფლად ამოსუნთქვის ნებას არ აძლევდა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გამართლდა ქართველი ერის მესაიდუმლის წინასწარმეტყველება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო“.

მაგრამ ამ 120 წ განმავლობაში ისეთი სენით დაავადმყოფდა ქართველი

ერი, რომ ბევრი დრო და ბევრი გამოჩენილი დოსტაქარი მოუნდება მის განკურნებას. ბრწყინვალე წოდება ჩინორდენების ტრფიალმა გაიტაცა; ლაზას ბედის მოზიარე გლეხობა სულს ღაფავდა მონობის უღელ ქვეშ და მხოლოდ მკრთალად გაისმოდა საქართველოს რჩეულ შვილთა ნაღვლიანი ამოძახილი.

„სულ ძილი, ძილი,
სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?

მაგრამ გამომხმაურებელი ცოტა იყო; სამშობლო და მამულიშვილობა ფრჩხილებში ჩასვეს და სათაკილო სიტყვათა კრებულში მოათავსეს. „ენა წახდა, ერი დაეცა".

და დღეს, როდესაც ქაჯების ხელიდან უკვე განთავისუფლდა ჩვენი ნესტანდარეჯანი და ტყვეობისგან დასუსტებულს დახმარება სჭირია, ბევრ ჩვენთაგანს ეს დიდი ისტორიული მოვლენა წყევლა კრულვის საგნათ გადაქცევია.

ეს აზრები დამიტრიალდა თავში, როდესაც ლონე მიხდილი „ახალმოდის" ავადმყოფობის გამო ვიჯექი განათლების სამინისტროს მისაღებ დარბაზში და ვისმენდი ორ მანდილოსნის საუბარს, რომლის ბავშვები მასწავლებელს ნაციონალიზაციის გამო ქართულ გიმნაზიაში გადაერიცხა. სუსტად ვიყავი, ვერც ყურს ვუგდებდი დაწვრილებით მათ ლაპარაკს და არც მათი კამათის თავი მქონდა.

მხოლოდ ვხედავდი, რომ სხვებიც ეთანხმებოდნენ გაწიწმატებულ ქალბატონებს და გაიძახოდნენ: С нами тоже самое Просто калечать дѣтей до и все.—ვიფიქრე: შეიძლება მასწავლებელი მართლა შეცდომაში შევიდა და რუსის ბავშვები ქართულ გიმნაზიაში გადმორიცხა მეთქი, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც გამოირკვა, რომ ორთავე მთხოვნელი ნამდვილი შორაპნელი აზნაურის ცოლები აღმოჩნდნენ. როდესაც მათ შეეკითხენ, რათ მოხდა, რომ თქვენმა შვილებმა არ იციან ქართული ენაო, ერთმა პაპის პაპას დააბრალა და მეორემ მოსამსახურე რუსის დედაკაცს. მათ და ბევრმა სხვებმაც, რომელნიც მათ უკან იდგნენ რიგში ანალოგიურ თხოვნებით ხელში, შესაფერისი პასუხი მიიღეს მთავრობისაგან; მხოლოდ მე დღესაც თვალწინ მიდგას ეს სურათი, ნიშანი ჩვენი გადაგვარებისა და ვფიქრობ, რამდენი ჰაპანწყვეტა და თავის ტეხა დასჭირდება ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთავრობას, რომ სასურველ კალაპოტში ჩააყენოს ჩვენი ეროვნული თვითშეგნება და სახელმწიფოს წესწყობილება!?

ს. ბუაჩიძე

სამეგრელოში

სექტემბრის 27.

აგერ მთელი თვეა დავდივართ სამეგრელოში და ყველგან ვრწმუნდებით, რომ ხალხი მოტყუებული იყო და ახლა გულწრფელად ინანიებს თავის ცოდვებს. ყველა კარგად გრძნობს, რომ სამეგრელო ჩამოუკვეთელი ნაწილია საქართველოსი, რომელსაც ვერ ჩამოშორდება იმ შემთხვევაშიც კი, რომ ამ საქართველოს სათავეში ყოვლად უვარგისი მთავრობაც უდგეს.

განსაკუთრებულს სანუგეშო სურათს იძლევა ზუგდიდის მაზრა, რომელიც მთელის თავის არსებით სცდილობს დაეხმაროს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და განდევნოს თავის წრიდან ყველა მავნე ელემენტი და ხელისშემშლელი დღევანდელს აღმშენებლობითს მუშაობაში.

უკანასკნელი ბუდეც ბოლშევიზმისა—სოფელი დიდი ნეძი დღეს საბოლოოდ იხრის თავს მთავრობის წინაშე და აჯანყების ყველა მეთაურს ასახელებს ამავ დღეს ხალხს მოაქვს იარაღი და მოჰყავს მეთაურებიც, გარდა ერთის კაცისა, სახელდობრ მიხა მამფორიასი, რომელიც ჯარის მისვლისათანავე სადღაც გაიქცა და რომლის ბინაც მგონი თვით ხალხმაც არ უნდა იცოდეს. ამ სოფლის დამორჩილებით თავდება კიდეც ბათომის პარტიზანულ პოლკის სამხედრო მოქმედება, რომელიც სამეგრელოში დაწყებულ იქმნა—სრულის ერთის თვის წინად.

საინტერესო ტიპია ზემოხსენებული მიხა მამფორია. მისი ცხოვრება, როგორც ერთმა ჩვენმა პარტიულმა ამხანაგმა დამიხატა, ერთგვარის ტრაგიზმით არის მოცული. მიხა მამფორია არ არის ყაჩაღი, როგორც ხვიტია და სხვები, ამ მოძრაობის დროს მას არც ასულდგმულებდა საპირადო ანგარიშები იგი ერთგვარი ავადმყოფი წევრია ჩვენის საზოგადოებისა და თვით არ იცის, რას აკეთებს და რა უნდა მოჰყვეს მის გაკეთებულ საქმეს და თამამად გადადგმულ გიჟურ ნაბიჯებს.

სიღარიბეში დაიბადა ეს მამფორია და იგივე სიღარიბე გახდა მისი მუდმივი თანამგზავრი ამ ცხოვრებაში. ამ სიღარიბემ პატარაობიდანვე აგრძნობინა მას სიმწვავე ამ ცხოვრებისა და მანვე აღზარდა მის ბუნებაში დაუცხრომელი და მოუსვენარი სული, რომელსაც ვერსად უპოვია თავშესაფარი. სკოლაშიც იყო ეს მამფორია. სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. მას ბედი ულიმოდა და ჰფიქრობდა სწავლას დაასრულებდა და მომზადებული დაუბრუნდებოდა ხალხს, მაგრამ იმ დროს, როდესაც რაღაც ერთი წელიწადი უკლდა ამ სასწავლებლის დასრულებას მამფორია იმავე დაწყევლილმა სიღარიბემ აიძულა, რომ სწავლისთვის თავი დაენებებინა და უგზო-უკვლოდ დაიწყო ხეტიალი ამ სოფლად.

უკანასკნელ ხანს მამფორია სოც.-ფედ. პარტიის წევრად ითვლებოდა და გულწრფელადაც მუშაობდა, მაგრამ ხანმოკლე იყო მისი ყოფნა ამ პარტიაში. წმინდა ანარქისტული ბუნება მისი, რომელსაც თავშესაკავებელ ლაგამად განათლება და დისციპლინა არა ჰქონდა, ვერ მოთავსდა პარტიის ფარგლებში. ჯერ კიდევ შარშან იჩინა თავი, მამფორიას ანარქისტულმა ბუნებამ: მიეჭრა თავის სოფელში ერთს მდიდარს მემამულეს ავთანდილ კობაძიძეს, წაართვა აუწონელი სიმინდი და ხალხს დაურიგა მუქთად. ამის შემდეგ მამფორია სოც.-ფედ. პარტიიდან გამორიცხეს. მამფორიამ სხვა ასეთი ნაბიჯებიც გადადგა და ჯერ კიდევ შარშან ადმინისტრაციამ დევნა დაუწყო, როგორც სოფლისთვის მავნე პირს. ერთხანად იგი იმალებოდა კიდეც, მაგრამ მას ცოდვები ისევ აპატიეს სოც.-ფედ. პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის შუამდგომლობით, აპატიეს იმიტომ, რომ მამფორიას პირადად არაფერით არ უსარგებლნია და არც აზრად ჰქონია რაიმე გამორჩენა. მამფორია მარტო დარჩა, უამხანაგებო და იგიც ჩაეწერა სოც.-რევოლიუციონერთა პარტიაში, თუმცა იგი მუდამ იძახდა: მე არა ვარ სოც.-რევოლიუციონერი, არც ვიცი, რა პარტიისა ვარ; ვიცი მხოლოდ ის, რომ „მენშევიკი" არა ვარ და ვერც შევეგუები მენშევიკურ მოძღვრებასაო. ალბად ამავე მენშევიზმის შეუგუებლობა იყო იმის მიზეზი, რომ მამფორია ბოლოს ბოლშევიკთა ბანაკში მოხვდა და იქ ერთ ერთ თვალსაჩინო მეთაურთაგანად ითვლებოდა. მამფორია ახალგაზრდაა სულ 26—27 წლისა უნდა იყოს. იგი ამ ჟამად გაქცეულია, მხოლოდ დარწმუნებული ვარ, იმიტომ კი არა, რომ იყაჩაღოს და თავისი პირადი ნივთიერი კეთილდღეობა მოაწყოს არა! იგი ემალება სასჯელს, სული ტკბილია და იგიც ხომ კაცია და სული უყვარს?

რ. ბ—ლი.

თელავის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა

ოქტომბრის 18-ს საღამოს 7 საათზე თელავის ქალაქის თავი, იგივე საქართველოს პარლამენტის წევრი კ. ანდრონიკაშვილი შემ. გამგ. ამხ—ბის დარბაზში გახსნილად აცხადებს თელავის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველ ყრილობას, მიჰმართავს სიტყვით და წინადადებას აძლევს აირჩიონ პრეზიდიუმი.

ყრილობა დილით უნდა გახსნილიყო, მაგრამ პარტიების მოლაპარაკებამ შეუშალა ხელი. დილიდან კრიზისი ძლიერ გამწვავდა, სოც.-ფედერალისტთა და სოც.-დემოკრატების პარტიებმა ერთმანეთს ულტიმატუმი წაუყენეს, მოლაპარაკება კომიტეტიდან პარტიებში გადაჰქონდათ, სცვლიდნენ პირობებს და ერთმანეთს ატყობინებდნენ, სოც.-ფედერალისტებმა მოითხოვეს გამგეობაში 2 წევრი და პრეზიდიუმში 1 და მტკიცედ დაადგნენ ამ გადაწყვეტილებას. საღამოთი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო საკითხი, მაგრამ საქმეში ჩაერია მაშინ თელავში მყოფი ამხ. მიხ. საყვარელიძე და მოხდა შეთანხმება.

საბჭოს პრეზიდიუმში დაასახელეს და ერთხმად აირჩიეს კიდეც ბ. ჰუმბურიძე, ს. მაჭავარიანი და ვ. პაატაშვილი.

ამის შემდეგ პრეზიდიუმი იჭერს თავის ადგილს. საბჭოს თავმჯდომარემ ა. ჰუმბურიძემ სამადლობელი სიტყვით, მიჰმართა ხმოსნებს.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს წოდ. ქალაქის თავს კ. ანდრონიკაშვილს.

იწყება მილოცვები. ყრილობა ადგენს გაეგზავნოს საპასუხო და მისალმების დეპეშები: პრემიერ მინისტრ ნ. ჟორდანიას, შინაგან საქმეთა ნ. რამიშვილს, ქალაქთა კავშირის თავმჯდომარეს ნ. ელიავას და ერობებს.

მისალმის სიტყვები წარმოსთქვეს პარტიებიდან: სოც.-ფედერალისტების მხრივ ვ. პაატაშვილმა, სოც.-დემოკრატებისა ს. მაჭავარიანმა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ექ. მიქელაძემ კახეთის კავშირის გამგ. თავმჯდომარემ დ. ქადაგიძემ და ხმოსანთა მხრივ ლ. გოგიაშვილმა.

შემდეგ ყრილობას მოხსენდა ერობის მომწყობ კომიტეტის მოქმედება და ანგარიში, რომელიც ყრილობას უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ სამჯობინაროდ სცნო ჯერ იმ საფინანსო კომისიას გადასცემოდა, რომელიც უნდა ამოერჩიათ ხმოსანთაგან.

გამგეობის წევრთა რიცხვი მცირე კამათის შემდეგ დაადგინეს შესდგებოდეს ხუთი კაცისაგან. ლაპარაკი ადიძრა რომ იანვრამდე, რადგანაც საქმე ცოტა იქნებოდა 3 წევრს ემუშავნა, მაგრამ ეს საკითხი გამგეობის არჩევნამდე გადადეს. თუმც ვერც მაშინ გავიდა.

საბჭოს პრეზიდიუმი მუდმივ უნდა მუშაობდეს თუ არა, ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად დაადგინეს, რომ საბჭოს პრეზიდიუმი, როგორც გამგეობა მუდმივ უნდა მოქმედობდეს.

საბჭოს პრეზიდიუმის და გამგეობის ჯამაგირების შესახებ ერთხმად სწყვეტენ რომ ეძლეოდეთ ყველას ერთნაირი ჯამაგირი და თითოს დაენიშნოს თვეში ასი თუმანი.

დირექტივები გამგეობის წევრებს ცალკე საკითხად იყო შეტანილი და საბჭომ დაავალა გამგეობას: მიიღოს საერობო დაწესებულების ინვენტარი, შეაგროვოს მასალები საფინანსო, საექიმო სანიტარული, საზეითლო, სასკოლო, გზების და წყლის სადენისა, სააგრონომიო, სახტატისტიკო და სხვ.

შემდეგი საკითხი იყო სესხის საკითხი, მაგრამ ხმოსნებმა სამჯობინოდ სცნეს მისი განხილვა მაშინ, როცა გამგეობის წევრებს აირჩევდნენ. ამით გათავდა პირველი დღის კრება და გადაიდო მეორე დღის 12 საათისათვის,

დავიწყებული.

მოწერილი ამბები

სოფ. ახალგორი (დუშეთის მაზრა) როგორც თვით ახალგორში, ისე მთლად ქსნის ხეობაზე მოდებულია გადამდები ავადმყოფობა, რომელსაც ესპანიურ ავადმყოფობას უძახიან. ძალიან აზარალებს ხალხს. იშვიათი ოჯახია, რომ ამ სენით ერთი მაინც არ იყოს ავად. ამას ემატება მშობიარეთა ლოგინობაზე სიკვდილი, როგორც ფიქრობენ ბებიის შეუფერობლობით. როგორც მკითხველებს მოეხსენებით სოფ. ახალგორში არის ქსენონი, სადაც ომამდისინ გამუდმებით იყვნენ ექიმი, ორი ფერშალი და ბებია. დღეს, სამწუხაროდ, ეს ქსენონი ერთი ფერშლის ანაბარაა და იმახედ არის ქსნის ხეობის მცხოვრებთა ილაჯი ჩამოწყვეტილი. მისაღებ ფულს ბარაქიანად იღებს და ამართლებს თუ არა ამ ჯილდოს ღმერთმა იცის და იმისმა სინიდისმა.

უარეს დღეში ვართ სწავლის მხრივაც. ჰაჰანებად მთლად ქსნის ხეობაზე არ დაწყებულა სწავლა. ნეტა როდის და რა ეშველება ჩვენს ახალგაზრდობას!

ასეთ სამწუხარო პირობებში გალაღებულია აქეთ ქურდობა. ამ თვის ოცდარვაში ამას დაერთო შემდეგი ამბავიც—სოფ. ახალგორში ღამის შვიდ—რვა საათზე რამდენიმე შეიარაღებული პირი მიადგა კოტე ი—ძე მზარეულოვის სახლს; ისარგებლეს რა სიბნელით თავი აჩვენეს კომისრად და მილიციონერებად და მოითხოვეს სახლის გაჩხრეკა. ამ აზრით მასპინძელი გაუღებს კარებს, და მიიწვევს სახლში, სადაც ისინი იარაღით მიადგებიან ორ ძმა მზარეულოვებს და მოსთხოვენ ფულს. ამათ ბედზე ამ ვაჟბატონებს შიში შეჰპარვიათ და რა გამოურთმევიათ ოც თუმნამდის, რომელიც ერთ-ერთ ძმას ზედ შესწრობია, გაჩქარებულან, მთელი სოფელი თავზარდაცემული იყო იმათი სროლით, რომელიც აეტეხათ გამოსვლისას სახლის შორი ახლოს.

მრავალ რიცხოვანი საზოგადოებათა სახელით ვსთხოვთ ვისაც ჯერ არს მოავაქციონ ჯეროვანი ყურადღება და გამოგვიგზავნონ როგორც ექიმი და ბებია ქალი, ისე მასწავლებელი თუნდა იმ სოფელში, სადაც წინადაც მუშაობდა პირვ. დაწყ. სამინისტრო სკოლაში.

მიხ. „ქსნელი".

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოსის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი", ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი ა. მ. მუხაძე იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს. ყოველ დღე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი [illegible]. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილ. [illegible] შესახვევი სასტუმრო „[illegible]" პირდაპირ № 84. 501

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი [illegible] კონსტანტინეს არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სახებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9, [illegible] თეატრის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლეობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნიკოლოზ [illegible] იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კარებით და სხვ. შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 ს ელექტრიზაცია და [illegible] მისამართი [illegible]გის ქ. № 11. 2245

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ზ. [illegible]
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა ფილტვის და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი [illegible], განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა; ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92 1840

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ [illegible]
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი [illegible] შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ლ. ა. [illegible] იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. აუდიტორიის ახლო. 2105

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგეს და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭლექისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 სათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო
მძ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
ბ. მ. რუხაძე—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ვეზირხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2178

ექიმი ბ. დ. [illegible] ხის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი, ნიკოლოზის ქუჩა № 7. [illegible] გვერდით. 903

[illegible] ნავასარდიანის პირადი [illegible] სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (კვირის გარდა) [illegible]
„606" და „914" 11—12 ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის, ავადმყ.)
ნ. ზ. ასახაროვა: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. ადგეზისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ა. გ. ავეტისიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმ.
თ. ა. [illegible], 12—1 ს. შინაგანი
რენტგ.-დარიგება 3 მან ხელმოკლეებისათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 60 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა